



დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

11 აპრილი, ხუთშაბათი, 1991 წ. № 65 (10 478) • ფასი 10 კპპ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

ვულოცავ ყველას!

გაენიერი ვარ, რომ ამ დღეს მოვეწვარი. ოლიმპიური ჩემპიონი რომ გავხდით, უცხოეთის პრესა წერდა, თითქოს მე რუსი ვიყავი. ამერიკიდან, ყველა გაიგებს. ვინა ვართ და რანი ვართ. მსოფლიო სტადიონებზე და სპორტულ დარბაზებშიც ქართული დროშა იფრიალებს. მჭერა, ეს დრო სულ ახლოსაა.

ჩემს ხალხს და ჩვენს მიწაზე მცხოვრებ ყველა არაქართველს ვულოცავ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. ახლა ყველამ ერთად, გასაკვირებელი ენერჯით უნდა ვიღვაწოთ დედამამართველოს საკეთილდღეობად.

მადია გუდელი, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი.



იქნებ მართლა საჭიროა დახმარება?

წალსათხილაშურო სპორტში ევროპის 1991 წლის ჩემპიონატი, როგორც „ლელოს“ მკითხველსთვის ცნობილია, ავგისტოში გამართება ფოთში. გუშინ წერილი მივიღეთ ბათუმიდან. აქარის კავშირგაბმულობის საწარმოს ფიზკულტურის მეთოდისტი უ. ტაბაღალა გვთავაზობს კონკრეტულ წინადადებას: ჩემპიონატისთვის შპანდების სამუშაოთა ტემპის დასაჩქარებლად შექმნას მოხალისეთა

ჯგუფები, რომლებიც მშენებლებს დაეხმარებიან. ახალგაზრდები ამ წინადადებას რესპუბლიკის ცალკეულ ქალაქებსა და რაიონებში ერთუნიანებით შეხვდებიანთ, — ასკენის ავტორი. ვუიქრობთ, უ. ტაბაღალას წინადადებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ჩემპიონატისთვის შპანდების ხელმძღვანელობის ჩფოთის სამუშაო ჯგუფმა უნდა მიიღოს. იქნებ, მართლა საჭიროა დახმარება.

მოასლონდა სპორტულ შურნალსტა კონფერენცია

1991 წლის 19 აპრილს მოწვეულია საქართველოს სპორტულ შურნალისტთა ფედერაციის კონფერენცია. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელმძღვანელებს, მათ შორის რესპუბლიკის საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქტორებს, ვიზივთ, კონფერენციაზე მთავრობის ფიზკულტურისა და სპორტის საკითხებზე მომუშავე რედაქციის შტატის თანამშრომლები. კონფერენცია ჩატარდება შურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ საკონფერენციო დარბაზში. დასაწყისი — 15 საათზე.

აპრილის მწვერული

ახლახან საქართველოს რომაულ-ბერძნული ჭიდაობის ფედერაციის სსდამაზე მოეწყო რესპუბლიკის ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელის არჩევნები. ყოფილი მწვრთნელი მიხეილ სალაძე დაუბრუნდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებს. თავიდან დასაწყისი იყო სამი კანდიდატურა (თემურ ყაზარაშვილი, დავით დავითაია, პაატა ყუბუსიძე). თ. ყაზარაშვილმა მოხსნა თავის კანდიდატურა. ფარული კენჭისყრით საქართველოს რომაულ-ბერძნული ჭიდაობის გუნდის უფროსი მწვრთნელად აირჩიეს პაატა ყუბუსიძე.

საქართველოს ჩოგბურთელთა ნაკრები გუნდის წევრებმა ვუშინ წინ გვირგვინით შეაქვეს პთავრობის ხახლსწინა მოედნის ის აღვლი, სადაც 1989 წლის 11 აპრილს სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ პატრიოტთა ხისხლი დაიდგარა.



ა. კიტორაშვილის ფოტო.

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს, რომ მტკიცად დაიცავს სხვა სახელმწიფოებთან კოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის საფუძვლად აღიარებულ პრინციპებს.“


1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტიდან.

საქონთა გავშირთან ურთიერთობა წყდება, საქართველოს სპორტული ცენტრებს გრძელდება!

გუშინ საღამოს, საქართველოს სპორტის დეპარტამენტში გაიმართა საგანგებო თათბირი

საუკუნებრივი ოცნება რეალობად იქცა! — აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ეროვნული უზენაესი საბჭოს ეს გადაწყვეტილება სიხარულით აღიქვა სრულიად საქართველოში. დაიწყო ახალი ცხოვრება, რომელიც, ცხადია, გარკვეულ სიძნელეებთან იქნება დაკავშირებული, მაგრამ ახლა ვეღარავითარი სიძნელე, ვეღარავითარი დაბრკოლება ვეღარ შეაფერხებს ქართული და ჩვენს მიწაზე მცხოვრები ყველა ხალხის ერთიან სწრაფვას სრული თავისუფლებისკენ. ქართული სპორტი ქართული გენის განუყოფელი ნაწილია, საქართველო უდიდესი პოტენციის სპორტული ქვეყანაა და აი, ქართული სპორტი მთელი თავისი შესაძლებლობებით დღეიდან კვშიარტად ეროვნულ სამსახურში დგება. ამერიკიდან, ჩვენ აღარ გვაქვს უფლება სხვისი კარნახით, სხვისი მისურვით, სხვისი დროშით გავიღეთ სპორტულ სარბიელზე, სხვისი პიონის თანხლებით ჩავიხაროთ მსოფლიოს რჩეულ ათლეტებთან ჭიდაობაში მონაწილეობაში. აწ და მარადის, მხოლოდ საქართველო დაულოცავს გზას თავის სპორტსმენებს და მათ მონაგარსაც მხოლოდ ის მიითვლის. ახეთი სულისკვეთებით ჩაიარა გუშინდელმა თათბირმა. ამერიკიდან ყოველგვარ კავშირს ვწყვეტთ „ცენტრთან“, საქართველოს წარმომადგენლები აღარ მიიღებენ მონაწილეობას საკავშირო ჩემპიონატებში და პირველობებში, კომპლექსურ სპორტულ ღონისძიებებში, აღარ გამოვლენ საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში — ითქვა თათბირზე.

მაგრამ ხაზგასმით აღინიშნა იხიც, რომ ჩვენ არ გავწყვეტთ სპორტულ ურთიერთობას ცალკეულ რესპუბლიკებთან, კვლავაც ვუმახინძლებთ საერთაშორისო შეჯიბრებებს. ახლა ბევრი რამ ფედერაციებზეა დამოკიდებული. მათ ყველაფერი უნდა იღონონ, საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში გასაწევიანივლად, რათა დამოუკიდებლად გავიღეთ საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე. ყოველმხრივ უნდა წავახალისოთ უცხოეთის კლუბებში ჩვენი სპორტსმენების მონაწილეობა კონტრაქტების საფუძველზე. ცხადია, დღეს წესრიგში რჩება სპორტსმენთა და სპეციალისტთა ყოველმხრივი მატერიალური მხარდაჭერა. როგორც თათბირზე ითქვა, მუშავდება სპორტულ ღონისძიებათა ახალი კალენდარი, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს სპორტული თამაშების მაღალ დონეზე ჩატარებას, რომელიც წელს პირველად გაიმართება ჩვენი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და საქართველოს სპორტის დეპარტამენტის გაერთიანებული ძალისხმევით. ეს თამაშები გამოცხადდება ღია თამაშებად, მასში მონაწილეობისთვის კი საზღვარგარეთის სპორტსმენებსაც მოიწვევენ. დღეს სამშობლოს ინტერესები გვირგვინად აღგას ყველას და ყველაფერს. ახლა ამ გვირგვინს ბრწყინვალეობას მატებს ჩვენი ცხოვრების საზრისი — საქართველო, უპირველეს ყოვლისა! დედასამშობლოს ახლა იხე სჭირდება ჩვენი თანადგომა, როგორც არასდროს! საქართველოს სპორტული ცხოვრება გრძელდება!



რამაზ ფალიანი, აკაკი კაკაურიძე, ზურაბ ხარსანიანი

ისევ იყოფაღას გიჭეზება

„ლელოს“ მკითხველები, რალა თქმა უნდა, კარგად იცნობენ ტყავის ხელთათმის საქართველოს ოსტატებს, კერძოდ, მსოფლიო ჩემპიონებს პაბუქთა შორის, ქუთაისელ აკაკი კაკაურიძეს; თბილისელ კახა ბარავის, სპერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებულ, მესტიელ რამაზ და ზურაბ ფალიანებს, ფოთელ ზურაბ ხარსანიას. მაგრამ, ვიდრე ისინი მტკიცედ დაიბეჭდებნენ“ ადგილს უძლიერესთა შორის, სწავდასხვა

რანგის საერთაშორისო ტურნირებში უნდა დაემტკიცებინათ თავიანთი სიძლიერე. მათგან სამამ მართლაც ბრწყინვალედ იასპარეზა. დავიწყეთ მეორე სამშალო წონის ა. კაკაურიძით (მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ა. ცეციფურიშვილი), რომელმაც წარმატებით იმოგზაურა ამერიკის შეერთებულ შტატებში. მან ჯერ ქალაქ სპოკენის სარბიელზე „შშრალი“ ანგარიშით 5:0 სძლია აშშ-ის სამეზის ჩემპიონ გრის ბურდს, რომლის ძლიერ ცალკეულ დარტ-

ყმებს ქართველმა სპორტსმენმა დარტკმათა სერიები დაუპირისპირა და გატეხა მეტოქის წინააღმდეგობა. მომდევნო შეხვედრაში კი, ქალაქ რაიდ სიტში, კაკაურიძე ადვილად გაუმყლავდა მიხელ დემოსის. სასიხარულო ცნობა მივიღეთ, ფინეთიდანაც, სადაც გაიმართა „ა“ კლასის დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომლის გამარჯვებულის სახელები მოიპოვეს რამაზ ფალიანმა და მძიმეწონისანმა ზურაბ ხარსანიამ.

საქართველოს პიროვნული ჩემპიონატი ფუნჯურთში. Table listing winners and scores for various weight classes.

გორდა“ (რუსთავი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 4:0	„ილია“ (გორი) — „ივერია“ (ხაშური) 3:1
„ქუთაისი“ (ქუთაისი) — „გურია“ (ღანჩხუთი) 3:0	„ოდიში“ (ზუგდიდი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 4:0
„კოლხეთი-1918“ (ფოთი) — „იბერია“ (თბილისი) 1:2	„კოლხეთი“ (ხობი) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 3:1
„ბათუმი“ (ბათუმი) — „მარჯვეთი“ (უზსტალინი) 4:0	„სებუმი“ (სოხუმი) — „სანავარდი“ (ხაბრეღია) —
„სუღორი“ (ყანი) 2:2	„შეპარდენი-1904“ (თბილისი) 1:0
„მერცხალი“ (ოზურგეთი) —	„შნური“ (გალი) 1:0.

